

მე-20 საუკუნის 30-იანი წლების საქართველოს გასტრონომიული
ეთნობოტანიკა (ივ. ჯავახიშვილის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

ქეთევან მდინარაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე
ეკოლოგიაში მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ბაცაცაშვილი, ასოცირებული პროფესორი
სამეცნიერო თანახელმძღვანელი: ზაალ კიკვიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

სარჩევი

აბსტრაქტი.....	3
Abstract.....	4
შესავალი.....	5
<i>ეთნობოტანიკა და მისი მნიშვნელობა.....</i>	5
<i>ველური მცენარეების გამოყენება თანამედროვეობაში.....</i>	6
<i>ეთნობოტანიკა საქართველოში.....</i>	7
<i>კვლევის მიზანი და ამოცანები.....</i>	8
კვლევის ობიექტი და მეთოდები	9
<i>მონაცემთა ბაზა</i>	9
<i>მონაცემთა ანალიზი.....</i>	12
შედეგები	14
დისკუსია.....	29
<i>დასკვნები</i>	32
ბიბლიოგრაფია	34
დანართი.....	38

აბსტრაქტი

საქართველოს რეგიონებში გავრცელებულია სხვადასხვა ველურ და კულტურულ მცენარეთა საკვებად გამოყენების ხანგრძლივი ტრადიცია, რაც თანამედროვე მკვლევრების ინტერესის ობიექტს წარმოადგენს. 1986 წელს რედაქტირდა ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს რეგიონებში მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალები, სადაც საკვები მცენარეებისგან კერძების მომზადების კულტურაა აღწერილი. ამ წყაროზე დაყრდნობით აღვნიშნავთ მთხრობელების მიერ დასახელებული საკვებად გამოყენებული მცენარეები, ხოლო მიღებული მონაცემები სტატისტიკურად დავამუშავებ.

კვლევის მიზანის წარმოადგენდა 1930-იან წლებში საჭმელად გამოყენებულ ველურ და კულტურულ მცენარეთა აღრიცხვა, საკვები კატეგორიების რეგიონების მიხედვით შედარება. იქიდან გამომდინარე, რომ მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ეთნოგრაფიული კვლევისთვის მხოლოდ მცირე რაოდენობის რესპონდენტი გამოიკითხა და ინტერვიუების ჩატარების სქემა არ არის ჩვენთვის ცნობილი, ზოგიერთ რეგიონზე მხოლოდ მწირი მონაცემები შეგროვდა. ინტერვიუთა კრებულში ასევე არასრული ინფორმაციაა მოწოდებული მცენარეთა მოპოვებასა და გამოყენებაზე.

სულ 45 რესპოდენტის მიერ 51 ბოტანიკური ოჯახიდან 164 სახეობის ველური და კულტურული მცენარე დასახელდა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ველური და კულტურული მცენარეები და მათი გამოყენების კატეგორიები არათანაბრად ნაწილდება რეგიონების მიხედვით. ველური მცენარეების სიმდიდრე და მრავალფეროვნება მნიშვნელოვნად აღემატება კულტურულ მცენარეებს. მცენარეთა საკვებად გამოყენების მხრივ მსგავსი რეგიონების დაჯგუფებისას რაიმე კონკრეტული კანონზომიერება არ გამოიკვეთა, თუმცა ზოგიერთი ახლომდებარე და მოსაზღვრე რეგიონი არამეტრული მრავალგანზომილებიანი სკალირების საფუძველზე (nMDS) ერთმანეთთან ახლოს დაჯგუფდა. ბრეი-კურტისის მსგავსების ინდექსის კლასტერული ანალიზის შედეგად, ველური მცენარეების სახეობრივი შემადგენლობა მეტწილად მსგავსი აღმოჩნდა მოსაზღვრე ან ერთმანეთთან ახლომდებარე რეგიონებში.

ივ. ჯავახიშვილის წყაროსა და ბოლო წლებში ჩატარებული ფართომასშტაბიანი ეთნობოტანიკური კვლევების შედეგებისას დადგინდა, რომ 1930-იანი წლების ინტერვიუებში დასახელებული ძირითადი საკვები მცენარეები კვლავ გამოიყენება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და მოსახლეობა ინარჩუნებს გასტრონომიულ ტრადიციებს. საქართველოში ჩატარებულ თანამედროვე კვლევებში, ბევრად მეტი საკვები მცენარის გამოყენება ფიქსირდება, ვიდრე ჩვენ მიერ გაანალიზებულ წყაროში.

Abstract

In Georgia there is a long tradition of using various wild and cultivated plants as food. The ethnographic materials obtained during the expedition led by Ivane Javakhishvili in the 1930s in various regions of Georgia, describing the culture of cooking dishes from edible plants, were edited in 1986. Based on this source, I counted the plants used for food and analyzed the data statistically. The study aimed to record the wild and cultivated plants used for food in the 1930s, to compare the food categories by region and to determine certain regularities in food preparation. Since only a small number of respondents were interviewed for the ethnographic study and the method of conducting interviews is not clear, only scarce data was available in some regions. Besides, the source provides incomplete information about the collection and use of plants. In total, 164 species of wild and cultivated plants from 51 botanical families were named by 45 narrators. Current research showed that wild and cultivated plants and the food categories are unevenly distributed in the regions. The richness and diversity of wild plants are significantly greater than that of cultivated plants. No particular regularity was found in the grouping of similar regions in terms of plant food use, although some nearby and bordering regions clustered close to each other based on non-metric multidimensional scaling (nMDS). As a result of the Bray-Curtis similarity analysis, the species composition of wild plants was found to be largely similar in regions bordering or close to each other. Comparison of the study by Iv. Javakhishvili with large-scale ethnobotanical studies carried out in recent years reveals that the primary edible plants mentioned in the interviews from the 1930s are still used in different

regions of Georgia and the population maintains gastronomic traditions. Last but not least, recent studies record the use of edible plants far more frequently than the source I analyzed.

შესავალი

ეთნობოტანიკა და მისი მნიშვნელობა

ეთნობოტანიკა წარმოადგენს მულტიდისციპლინარულ კვლევას მცენარეებისა და ადამიანების ურთიერთობის შესახებ. 1895 წელს ჰარშბერგერმა გამოიყენა ტერმინი „ეთნობოტანიკა“, რათა აღეწერა კალიფორნიის ადგილობრივი ინდიელების მიერ გამოყენებული მცენარეები. ეს ტერმინი მოიცავდა მცენარისა და ადამიანის ურთიერთობის შესწავლას, შეფასებას და მცენარის ზეგავლენას საზოგადოებაზე (Ford 2011, Sharma 2013). ჯ. ნოლანისა და ნ. ტერნერის მიხედვით „რამდენადაც საჭიროა მცენარეთა და ადამიანების დინამიური ურთიერთობის სისტემური აღბეჭდვა, სოციალურ-ეკოლოგიური სისტემებისა და ბიოკულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გარემოსთან და კულტურასთან დაკავშირება, იმდენად აქტუალური და მნიშვნელოვანი იქნება ეთნობოტანიკის სფეროს არსებობა მსოფლიოს მასშტაბით“ (Nolan 2011, 114). ეთნობოტანიკური კვლევების მთავარი მიზანია შეინარჩუნოს ტრადიციული ცოდნა ველური საკვები მცენარეების გამოყენების შესახებ. ველური მცენარეები საშუალებას გვაძლევს შევიმუშაოთ ჯანსაღი კვების რაციონი, რაც თავისთავად მოიცავს გასტრონომიას, ჯანმრთელობასა და მდგრადობას (Motti 2021).

ველური მცენარეების გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოსთან და მის კონსერვაციასთან. ადგილობრივი ტრადიციების ცოდნა და მათი თაობებს შორის გადაცემა გვებმარება შევინარჩუნოთ კავშირი საზოგადოებასა და გარემოს შორის. ველური მცენარეები ასევე მნიშვნელოვან რეზერვუარსა და გენების წყაროს წარმოადგენს ახალი კულტურული მცენარეების გამოყვანისთვის (Baldi et al. 2022).